

კომპეტენციის ჩარჩო პროფესიონალი ბუღალტრებისა და აუდიტორებისთვის

აღფრედ ჟან-მარი ბორგონოვო, ფინანსური მართვის უფროსი სპეციალისტი
ფინანსური ანგარიშგების რეფორმის მსოფლიო ბანკის ცენტრი

21 ივნისი, 2017 - თბილისი, საქართველო

საგანმანათლებლო პრაქტიკის ფორუმი

CFRR >>

**Centre for Financial
Reporting Reform**



Strengthening Auditing and Reporting in
the Countries of the Eastern Partnership

STAREP is co-funded by:

 Austrian
Development Cooperation



 Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra



EU4Business

 LE GOUVERNEMENT
DU GRAND-DUCHÉ DE LUXEMBOURG
Ministère des Finances

სასწავლო პროცესის ამოცანები

- » განსხვავება კომპეტენციასა და ცოდნას შორის
- » რატომ არის პროფესიული კომპეტენცია მნიშვნელოვანი აუდიტორებისა და ბუღალტრებისთვის
- » პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციების პასუხისმგებლობის შეფასება წევრთა კომპეტენციის განვითარებასა და შენარჩუნებაში
- » მოკვლევა თუ როგორია კომპეტენციის ტიპური ჩარჩო
- » კომპეტენციის ჩარჩოს გამოყენების შეფასება პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციების მიერ
- » კომპეტენციის ჩარჩოს განვითარების მეთოდები
- » კომპეტენციის ჩარჩოს გავრცელების და შენარჩუნების აღწერა





- I. კომპეტენცია და ცოდნა
- II. კომპეტენციის ჩარჩოები - ტიპური სტრუქტურები
- III. როგორ გამოიყენება კომპეტენციის ჩარჩოები
- IV. კომპეტენციის ჩარჩოების განვითარების მეთოდები
- V. კომპეტენციის ჩარჩოს მდგრადობის უზრუნველყოფა



I. კომპეტენცია და ცოდნა

ცოდნა თუ კომპეტენცია? ?



ცოდნა: “იცით თუ არა როგორ...?”

» ემყარება სწავლის პრინციპებს, კონცეფციებს, სტანდარტებს, ფაქტებს და პროცედურებს

» ხშირად თეორიული ან აკადემიურია მიდგომის თვალსაზრისით


» ცოდნა აუცილებელია მაგრამ არასაკმარისი - ჩვენ შეგვიძლია “ვიცოდეთ თუ როგორ” გავაკეთოთ რამე მაგრამ არ შეგვიძლოს მისი თანმიმდევრულად განხორციელება რეალურ სიტუაციაში.




ცოდნა თუ კომპეტენცია? ?

პროფესიული კომპეტენცია: “შეგიძლიათ თუ არა...?”

- » IFAC -ის მიერ განისაზღვრება როგორც „დადგენილი სტანდარტის შესაბამისად როლის შესრულების უნარი“
- » კომპეტენცია “სცდება ცოდნას...; ეს არის ქვევით ჩამოთვლილის ინტეგრაცია და გამოყენება
 - (ა) ტექნიკური კომპეტენცია,
 - (ბ) პროფესიული უნარები და
 - (გ) პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და დამოკიდებულებები”



პროფესიული კომპეტენცია



რატომ არის საჭირო ფოკუსირება პროფესიულ კომპეტენციაზე ?

- » პროფესიონალი ბუღალტრების განვითარების და კვალიფიკაციის მინიჭების პროცესში საკმარისი არ არის მათ იცოდნენ მხოლოდ ის თუ რას მოითხოვს სტანდარტი.
- » პროფესიონალები მუშაობენ კომპლექსურ გარემოში
- » პროფესიონალები აღჭურვილნი არიან საზოგადოების ნდობით საჯარო ინტერესის დასაცავად
- » ხშირად, კვალიფიკაციის მიღწევის შემდეგ მათ შეუძლიათ მომსახურების შეთავაზება საზოგადოებისთვის შემდგომი მოთხოვნების გარეშე
- » პროფესიონალებს უნდა შეეძლოთ საკუთარი როლების კომპეტენტურად შესრულება საზოგადოების, კლიენტების და დამსაქმებლებისთვის მოსალოდნელ დონეზე..

პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის პასუხისმგებლობები

- » პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაცია პასუხისმგებელია წევრთა კომპეტენტურობის უზრუნველყოფაზე:
 - » საზოგადოების დასაცავად
 - » პროფესიის რეპუტაციის დასაცავად და საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად
 - » ეროვნული სტანდარტების და წესების შესასრულებლად
 - » საერთაშორისო მოთხოვნების და მოლოდინების შესასრულებლად

პროფესიული კომპეტენცია

უნივერსიტეტების (და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების) როლი

- » საუნივერსიტეტო განათლება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების საფუძველს
- » საწყისი კურსების გავლით სტუდენტები იღებენ ცოდნას, მაგრამ რაც უფრო ადრე დაიწყებენ კომპეტენციის განვითარებას მით უკეთესი.
- » რამდენადაც შესაძლებელია და რაც შეიძლება ადრე, სასწავლო კურსები უნდა ითვალისწინებდეს ისეთი უნარების გამოყენებას როგორებიცაა: მსჯელობა, კრიტიკული აზროვნება, გაურკვევლობის მართვა, ეთიკა და ფასეულობები, კომუნიკაცია, ლიდერობა, გუნდური მუშაობა და ა.შ.



II. კომპეტენციის ჩარჩო- ტიპური სტრუქტურები

კომპეტენციის ჩარჩოს ელემენტები

კომპეტენცია

ჩარჩო

კომპეტენციის
სფერო

მაგ., ფინანსური აღრიცხვა, აუდიტი,
სტრატეგია, კომუნიკაციები

ძირითადი
კომპეტენციები


მაგ., “შეიმუშვებს აუდიტის გეგმას”
პროფესიული **B** დონეზე
დონეები

სასწავლო თემები

მაგ., • ISA 300

- მატერიალურობა
- მასშტაბი და დრო

კომპეტენციის ჩარჩოები



კომპეტენციის ჩარჩოები

ტექნიკური კომპეტენციები

კომპეტენციის სფეროები

- ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება
- აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება
- მენეჯერული აღრიცხვა
- ფინანსები და ფინანსური მართვა
- სტრატეგია და მართვა
- დაბეგვრა
- ბიზნესსამართალი და რეგულირება

არატექნიკური ("გავრცელებული") კომპეტენციები

კომპეტენციის სფეროები

- კომუნიკაცია
- გუნდური მუშობა და ლიდერობა
- პრობლემების გადაწყვეტა
- ინტეგრაციული მიდგომა
- პროფესიული სკეპტიციზმი და განსჯა
- ეთიკა და ნდობა

კომპეტენციის ჩარჩოები

ტექნიკური
კომპეტენციები

მაგალითი
აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება

ძირითადი კომპეტენციები

აფასებს და იძლევა კონსულტაციას ორგანიზაციის ანგარიშგების საჭიროებების და დაკავშირებული რწმუნების მოთხოვნების შესახებ

განსაზღვრავს გააფორმოს თუ არა გარიგება პროფესიული სტანდარტების შესაბამისად

განსაზღვრავს გარიგების მასშტაბს

აფასებს რისკებს და ბიზნესსაკითხებს გარიგებაზე მათი გავლენის განსასაზღვრად

შეიმუშავებს აუდიტის გეგმას

შეიმუშავებს და /ან ასრულებს აუდიტის შესაბამის პროცედურებს

აფასებს შიდა კონტროლს და იძლევა მასთან დაკავშირებით კონსულტაციას

... და ა.შ.

კომპეტენციის ჩარჩოები

მაგალითი
სფერო: კომუნიკაცია

არატექნიკური
“გავრცელებული”
კომპეტენციები

ძირითადი კომპეტენციები

არჩევს შესაფერის საშუალებას ინფორმაციის, იდეების და შედეგების გადასაცემად

ამზადებს ინფორმაციას კონკრეტული მიზნის შესაბამისი ფორმატით

ახდენს ინფორმაციის კომუნიკაციას დროულად, მკაფიოდ და ლაკონურად

განსაზღვრავს პროფესიულ იმიჯს კომუნიკაციაში

უზრუნველყოფს რომ კომუნიკაციის დროს მიწოდებული ინფორმაცია იყოს მკაფიოდ აღქმული

უზრუნველყოფს შეხვედრების ეფექტიანობას დღის წესრიგის და ოქმების შემუშავებით და დისკუსიების ხელშეწყობით

ხელს უწყობს შეთანხმებას სხვადასხვა მოსაზრებებს შორის

კვალიფიკაციის დონეები – “რამდენად კარგად შეგიძლიათ...?”

- » ჩარჩოში თითოეულ ძირითად კომპეტენციას მინიჭებული აქვს „კვალიფიკაციის შესაბამისი დონე“
- » კვალიფიკაციის დონეები განსაზღვრავს კვალიფიკაციის მიღების დროისთვის მოსალოდნელი უნარების დონეს
- » კვალიფიკაციის დონეები განსხვავდება ძირითად კომპეტენციებს და სხვადასხვა პროგრამების ან სპეციალობებს შორის კონტექსტიდან გამომდინარე

კვალიფიკაციის დონეები

- » კვალიფიკაციის დონეები მონიშნულია და აღწერილია შემდეგნაირად:
 - » 1, 2, 3 (ან 3, 2, 1)
 - » A, B, C ან (C, B, A)
 - » ექსპერტი, მაღალი, საშუალო, საბაზისო
 - » დახელოვნება, აღქმა, ინფორმირებულობა
- » პარალელურად შეიძლება განისაზღვროს შუალედური საკვალიფიკაციო დონის მოთხოვნები, როგორებიცაა პროგრამის სხვადასხვა დონეები






კომპეტენციის ჩარჩოები

ტექნიკური
კომპეტენციები

მაგალითი
აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება



ძირითადი კომპეტენციები	პროფესიული კვალიფიკაციის დონე
აფასებს და იძლევა კონსულტაციას ორგანიზაციის ანგარიშგების საჭიროებების და დაკავშირებული რწმუნების მოთხოვნების შესახებ	საშუალო
განსაზღვრავს გააფორმოს თუ არა გარიგება პროფესიული სტანდარტების შესაბამისად	საშუალო
განსაზღვრავს გარიგების მასშტაბს	საშუალო
აფასებს რისკებს და ბიზნესსაკითხებს გარიგებაზე მათი გავლენის განსასაზღვრად	საშუალო
შეიმუშავებს აუდიტის გეგმას	საშუალო
შეიმუშავებს და /ან ასრულებს აუდიტის შესაბამის პროცედურებს	საშუალო
აფასებს შიდა კონტროლს და იძლევა მასთან დაკავშირებით კონსულტაციას	საშუალო


... და ა.შ.



კომპეტენციის ჩარჩოები

მაგალითი
სფერო: კომუნიკაცია

არატექნიკური
“გავრცელებული”
კომპეტენციები



ძირითადი კომპეტენციები	კვალიფიკაციის დონე
არჩევს შესაფერის საშუალებას ინფორმაციის, იდეების და შედეგების გადასაცემად	უმაღლესი
ამზადებს ინფორმაციას კონკრეტული მიზნის შესაბამისი ფორმატით	უმაღლესი
ახდენს ინფორმაციის კომუნიკაციას დროულად, მკაფიოდ და ლაკონურად	უმაღლესი
განსაზღვრავს პროფესიულ იმიჯს კომუნიკაციაში	უმაღლესი
უზრუნველყოფს რომ კომუნიკაციის დროს მიწოდებული ინფორმაცია იყოს მკაფიოდ აღქმული	უმაღლესი
უზრუნველყოფს შეხვედრების ეფექტიანობას დღის წესრიგის და ოქმების შემუშავებით და დისკუსიების ხელშეწყობით	საშუალო
ხელს უწყობს შეთანხმებას სხვადასხვა მოსაზრებებს შორის	საშუალო

სასწავლო თემები:

- » ჩამონათვალის შემუშავება, რომელშიც წარმოდგენილია თითოეული ძირითადი კომპეტენციის მასშტაბი და კონტექსტი .
- » დეტალების დამატება ძირითადი კომპეტენციების გადატვირთვის გარეშე
- » დეტალების აღნიშვნა, რომლებიც საჭიროა განათლების მუშაკებისთვის მითითებების მისაწოდებლად (უნივერსიტეტები და პროფესიული განათლების კურსების შემმუშავებლები) თუ რა თემები უნდა იქნეს მოცული კურსებით.
- » შეიძლება იყოს ან არ იყოს განსაზღვრული არა-ტექნიკური კომპეტენციებისთვის.

თემების ნიმუშები: აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება

ძირითადი კომპეტენციები:

3.2 განსაზღვრავს გააფორმოს თუ არა გარიგება პროფესიული სტანდარტების შესაბამისად

K3.2.1 აუდიტორის დამოუკიდებლობის მოთხოვნები გარე გარიგებებისთვის (დამოუკიდებლობის სტანდარტები გარე აუდიტორებისთვის)

K3.2.2 კლიენტთან ურთიერთობის დამყარება, მასშტაბის შეზღუდვის და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით

K3.2.3 გარიგების მართვა რესურსების განაწილების ჩათვლით



მაგალითი – კანადის ნაფიც
ბუღალტერთა კომპეტენციების
რუკა



CPA

CHARTERED
PROFESSIONAL
ACCOUNTANTS
CANADA

COMPTABLES
PROFESSIONNELS
AGRÉÉS
CANADA



- » ჩარჩო მოიცავს ტექნიკურ და „დამხმარე“ კომპეტენციებს
- » „დამხმარე“ კომპეტენციები მოიცავს პროფესიულ უნარებს, ფასეულობებს, ეთიკას და დამოკიდებულებებს

კომპეტენციის ხუთი ხელშემწყობი სფერო	ტექნიკური კომპეტენციის ექვსი სფერო
1. პროფესიული და ეთიკური ქცევა 2. პრობლემის გადაწყვეტა და გადაწყვეტილების მიღება 3. კომუნიკაცია 4. თვითმენეჯმენტი 5. გუნდური მუშაობა და ლიდერობა	1. ფინანსური ანგარიშგება 2. სტრატეგია და მართვა 3. მენეჯერული აღრიცხვა 4. აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება 5. ფინანსები 6. დაბეგვრა



კვალიფიკაციის დონეებია **C (უდაბლესი)-დან A (უმაღლესი)-ამდე:**

- » **C დონე:** დასკვნების გამოტანის და აღქმის უნარები; ახსნის, აღწერის, და ცოდნის დემონსტრირების უნარი, რომელიც სირთულის თვალსაზრისით დაბალიდან ზომიერამდეა რუტინული სიტუაციისთვის.
- » **B დონე:** ცოდნის დემონსტრირება, პრობლემების ანალიზი, და ლოგიკური დასკვნების გამოტანა რუტინულ სიტუაციებში, რომლებიც დაბალიდან ზომიერამდე სირთულით გამოირჩევა; საკითხის წინასწარი ანალიზის განხორციელება, მაგრამ სამუშაოს დასჭირდება შედარებით უფროსი პროფესიონალების ჩართვა სანამ კანდიდატები შეძლებენ სამუშაოს დასრულებას



» **A დონე:** ცოდნის დემონსტრირება, პრობლემების საკმარისად ღრმა ანალიზი და დასკვნების გამოტანა რუტინულ სიტუაციებში, რომელთა კომპლექსურობა დაბალიდან ზომიერამდეა. არარუტინული და ზომიერი სირთულის შემთხვევაში კანდიდატებს მოეთხოვებათ ზოგიერთი, მაგრამ არა ყველა, ურთიერთობის შემჩნევის უნარი. ასეთ შემთხვევებში დავალების შესასრულებლად კანდიდატებს სჭირდებათ გარკვეული მითითებები შედარებით უფრო მეტად გამოცდილი პროფესიონალებისგან.

[მაღალკომპლექსური და არარუტინული საკითხები წყდება შედარებით უფრო მეტად გამოცდილი პროფესიონალების მიერ]

ნაფიც ბუღალტერთა კომპეტენციების რუკა



	ძირითადი		არჩევითი				პრაქტიკული		
	Entry	C1	C2 Core	E1 PM	E2 FIN	E3 AS	E4 TAX	Cap 1	Cap 2
ძირითადი კომპეტენციები									
ტექნიკური კომპეტენციები									
4. აუდიტი და მარწმ. მომსახურება									
4.1 შიდა კონტროლი									
4.1.1 სუბიექტის რისკის შეფასების პროცესების შეფასება	B	A	A			A		>	>
4.1.2 აფასებს საინფორმაციო სისტემას მათ შორის დაკავშირებულ პროცესებს	C	B	B	A		A		>	>
4.2 შიდა და გარე აუდიტის მოთხოვნები									
4.2.1 იძლევა რეკომენდაციას სუბიექტის მარწმუნებელი საჭიროებების შესახებ	B		B			A		>	>
4.2.2 განმარტავს მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტების მოსალოდნელი ცვლილების შედეგებს	C		C			B		>	>
4.3 შიდა აუდიტის პროექტები და გარე რწმუნების შედეგები									
4.3.1 აფასებს საკითხებს რომლებიც უკავშირდება გარიგების ან პროექტის განხორციელებას	B	B	B			A		>	>
	კვალიფიკაციის დონეები								

საერთო დასკვნითი შეფასება


ნაფიც ბუღალტერთა კომპეტენციების რუკა



> ხელშემწყობი (დამხმარე) კომპეტენციები

- i. პროფესიული და ეთიკური ქცევა
- ii. პრობლემების გადაწყვეტა და გადაწყვეტილებების მიღება
- iii. კომუნიკაცია
- iv. თვით-მენეჯმენტი
- v. გუნდური მუშაობა და ლიდერობა

არატექნიკური
კომპეტენციის სფეროები



საერთო
დასკვნითი
შეფასება

➤ მიუთითებს დაფარვაზე და პროფესიული უნარების და ქცევის პროგრესულ განვითარებაზე

ნაფიც ბუღალტერთა კომპეტენციების რუკა – თემების ჩამონათვალი, რომელშიც უნდა ერკვეოდეს ბუღალტერი



თემები	ნაფიცი ბუღალტრის დაკავშირებული კომპეტენციები
• ამოცანები და ფუნდამენტური ბუღალტრული აღრიცხვის კონცეფციები და პრინციპები (საბუღალტრო ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები, საბაზისო ელემენტები) • ეთიკის პროფესიული შეფასება • ფინანსური ანგარიშგების ამოცანები • განსხვავება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის და საკასო მეთოდებს შორის • სტანდარტების განსაზღვრის ჩარჩო (ფასს და კსბას-ი) • ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლები და მათი ფართო საჭიროებები, სტანდარტების განსაზღვრა და ანგარიშვალდებულების მოთხოვნები • საბუღალტრო აღრიცხვის საინფორმაციო სისტემები • და ა.შ.	1.1.1 აფასებს ფინანსური ანგარიშგების საჭიროებებს 1.1.2 აფასებს ფინანსური ანგარიშგების საფუძვლის სათანადოობას 1.1.3 აფასებს ანგარიშგების პროცესებს სანდო ფინანსური ანგარიშგების მხარდასაჭერად 1.2.1 შეიმუშავებს ან აფასებს საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკას და პროცედურებს 1.4.2 აფასებს ფინანსურ ანგარიშგებებს განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით 1.4.4 განმარტავს ფინანსური ანგარიშგების შედეგებს დაინტერესებული (გარე ან შიდა) მხარეებისთვის

ნაფიც ბუღალტერთა კომპეტენციების რუკა



		ძირითადი			არჩევითი				პრაქტიკული	
		C	E1	E2	E3	E4	Cap	Cap		
ძირითადი კომპეტენციები	Entry	C1	2 Core	PM	FIN	AS	TAX	1	2	
ტექნიკური კომპეტენციები										
4. აუდიტი და მარწმ. მომსახურება										
4.1 შიდა კონტროლი										
4.1.1 სუბიექტის რისკის შეფასების პროცესების შეფასება	B	A	A			A		>	>	
4.1.2 აფასებს საინფორმაციო სისტემას მათ შორის დაკავშირებულ პროცესებს	C	B	B	A		A		>	>	
4.2 შიდა და გარე აუდიტის მოთხოვნები										
4.2.1 იძლევა რეკომენდაციას სუბიექტის მარწმუნებელი საჭიროებების შესახებ	B		B			A		>	>	
4.2.2 განმარტავს მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტების მოსალოდნელი ცვლილების შედეგებს	C		C			B		>	>	
4.3 შიდა აუდიტის პროექტები და გარე რწმუნების შედეგები										
4.3.1 აფასებს საკითხებს რომლებიც უკავშირდება გარიგების ან პროექტის განხორციელებას	B	B	B			A		>	>	

გამოიყენება აკრედიტაციისთვის უნივერსიტეტის ან კოლეჯის კურსების შესაფასებლად

ნაფიც ბუღალტერთა კომპეტენციების რუკა



		Core			არჩევითი				პრაქტიკული	
	Entry	C1	C2	Core	E1 PM	E2 FIN	E3 AS	E4 TAX	Cap 1	Cap 2
ძირითადი კომპეტენციები										
ტექნიკური კომპეტენციები										
4. აუდიტი და მარწმ. მომსახურება										
4.1 შიდა კონტროლი	B	A		A			A		>	>
4.1.1 სუბიექტის რისკის შეფასების პროცესების შეფასება	C	B		B	A		A		>	>
4.1.2 აფასებს საინფორმაციო სისტემას მათ შორის დაკავშირებულ პროცესებს										
4.2 შიდა და გარე აუდიტის მოთხოვნები	B			B			A		>	>
4.2.1 იძლევა რეკომენდაციას სუბიექტის მარწმუნებელი საჭიროებების შესახებ	C			C			B		>	>
4.2.2 განმარტავს მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტების მოსალოდნელი ცვლილების შედეგებს										
4.3 შიდა აუდიტის პროექტები და გარე რწმუნების შედეგები										
4.3.1 აფასებს საკითხებს რომლებიც უკავშირდება გარიგების ან პროექტის განხორციელებას	B	B		B			A		>	>

გამოიყენება პროფესიული კურსების და გამოცდების შესამუშავებლად

ნაფიც ბუღალტერთა კომპეტენციების რუკა



	Entry	ძირითადი		არჩევითი				პრაქტიკული		
		C1	C2 Core	E1 PM	E2 FIN	E3 AS	E4 TAX	Cap 1	Cap 2	
ძირითადი კომპეტენციები										
ტექნიკური კომპეტენციები										
4. აუდიტი და მარწმ. მომსახურება										
4.1 შიდა კონტროლი	B	A		A		A		>	>	
4.1.1 სუბიექტის რისკის შეფასების პროცესების შეფასება	C	B		B	A	A		>	>	
4.1.2 აფასებს საინფორმაციო სისტემას მათ შორის დაკავშირებულ პროცესებს										
4.2 შიდა და გარე აუდიტის მოთხოვნები	B			B		A		>	>	
4.2.1 იძლევა რეკომენდაციას სუბიექტის მარწმუნებელი საჭიროებების შესახებ	C			C		B		>	>	
4.2.2 განმარტავს მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტების მოსალოდნელი ცვლილების შედეგებს										
4.3 შიდა აუდიტის პროექტები და გარე რწმუნების შედეგები										
4.3.1 აფასებს საკითხებს რომლებიც უკავშირდება გარიგების ან პროექტის განხორციელებას	B	B		B		A		>	>	


პრაქტიკული კურსები აერთიანებს ტექნიკურ სფეროებს და აძლიერებს ხელშემწყობ კომპეტენციებს



III. კომპეტენციის ჩარჩოს გამოყენება

კომპეტენციის ჩარჩო

» კომპეტენციის ჩარჩო არის კომპეტენციის განვითარების, შეფასების და შენარჩუნების უზრუნველყოფის საფუძველი:



მხარს უჭერს პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციის კვალიფიკაციამდელ და კვალიფიკაციის შემდგომ შიდა პროგრამებს

როგორ გამოიყენება კომპეტენციის ჩარჩოები

» კომპეტენციის ჩარჩოები განამტკიცებს კანონშესაბამისობას:



ადგილობრივი
კანონები და
წესები



საერთაშორისო
საუკეთესო პრაქტიკა



ხელს უწყობს შესაბამისობას ადგილობრივ და საერთაშორისო მოლოდინებთან

როგორ გამოიყენება კომპეტენციის ჩარჩოები

» კომპეტენციის ჩარჩოები ხშირად მორგებულია სხვა ორგანიზაციების მოთხოვნებზე:



უნივერსიტეტები,
რომლებიც ცდილობენ
აკრედიტაციის მიღებას



აღიარების
ხელშეკრულებები
სხვა
პროფესიონალ
ბუღალტერთა
ორგანიზაციებთან

ხელს უწყობს სხვა ორგანიზაციებთან შედარებას



IV.

როგორ წარმოებს კომპეტენციის ჩარჩოს შემუშავება

როგორ წარმოებს კომპეტენციის ჩარჩოების შემუშავება

- » დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობა აუცილებელია იმისათვის, რომ ჩარჩო აკმაყოფილებდეს საზოგადოების, კლიენტების და დასაქმებულების საჭიროებებს და მოლოდინს:
 - » მიზანი მდგომარეობს კომპეტენციების სრული სპექტრის ასახვაში, რომლებიც აუცილებელია პროფესიონალი ბუღალტრებისა და აუდიტორებისთვის
 - » საჭირო კვალიფიკაციის დონეები ძლიერ არის დამოკიდებული კონტექსტზე და ასევე რეალისტური უნდა იყოს ადგილობრივი გარემოს გათვალისწინებით



როგორ წარმოებს კომპეტენციის ჩარჩოების შემუშავება


- » “პრაქტიკის ანალიზი” ტიპურად გამოიყენება კომპეტენციების და კვალიფიკაციის სათანადო დონეების განსასაზღვრად, რომლებიც მოთხოვნილია ახალი პროფესიონალი ბუღალტრების მიერ
- » პრაქტიკის ფართომასშტაბიანი ანალიზი მოიცავს შემდეგი ჩამონათვალის კვლევას:
 - » წევრები
 - » დამსაქმებლები
 - » აკადემიური წრეების წარმომადგენლები
 - » პროფესიონალი დამქირავებლები
 - » მარეგულირებლები



როგორ წარმოებს კომპეტენციის ჩარჩოების შემუშავება

- » ჩვეულებრივ დამოუკიდებელი კონსულტანტების დაქირავება წარმოებს დახმარების მისაღებად (სპეციალიზებული გამოცდილებისთვის და ობიექტურობის უზრუნველყოფის და პოტენციური მიკერძოების თავიდან აცილების მიზნით)
- » პრაქტიკის ანალიზი უნდა განახლდეს პერიოდულად (ჩვეულებრივ ყოველ 3-5 წელიწადში) დაინტერესებული მხარეების ცვალებადი საჭიროებების და პროფესიული გარემოს ასახვის მიზნით

პრაქტიკის ანალიზის განხორციელება



- » პროცესს ხელმძღვანელობს მცირე მაგრამ წარმომადგენლობითი კომიტეტი, რომელიც ადგენს ძირითადი კომპეტენციების ჩამონათვალს.
- » თითოეული ძირითადი კომპეტენციისთვის სასწავლო თემების გენერაცია ხდება სასურველი მასშტაბის და კონტექსტის აღწერის მიზნით
- » ყოვლისმომცველი კვლევა ტარდება როცა წევრები, დამსაქმებლები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები, მარეგულირებლები და დამქირავებლები აფასებენ ძირითად კომპეტენციებს აუცილებლობის/მნიშვნელობის და კვალიფიკაციის დონის შესახებ.
- » შედეგები იკრიბება ძირითადი კომპეტენციების, კვალიფიკაციის დონეების და დაკავშირებული სასწავლო თემების საბოლოო სახით მოსამზადებლად.

როგორ წარმოებს კომპეტენციის ჩარჩოების შემუშავება

არატექნიკური
“გავრცელებული”
კომპეტენციები


პრაქტიკის ბოლოდროინდელი ანალიზის შედეგები:

» ახლად დანიშნული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის ყველაზე მნიშვნელოვნად მიჩნეული კომპეტენციები უკავშირდება პროფესიონალიზმს, ეთიკას და ნდობას, ლიდერობას და კომუნიკაციას

ტექნიკური
კომპეტენციები

» ტექნიკური კომპეტენციის სფეროებს შორის ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება, შიდა კონტროლი და აუდიტი, საბუღალტრო აღრიცხვის და რისკის მართვა და დაბეგვრა ძირითადად უმნიშვნელოვანესია.

პრაქტიკის ანალიზის წინაშე არსებული გამოწვევები



ლოგისტიკასთან/რესურსებთან დაკავშირებული გამოწვევები:


- » პრაქტიკის ანალიზი გრძელვადიანი, კომპლექსური და ძვირადღირებული პროცესია
- » იდეალურ შემთხვევაში პრაქტიკის პირველი ყოვლისმომცველი ანალიზი უნდა ხორციელდებოდეს პროფესიული განათლების პროგრამების შემუშავებამდე; სულ უფრო რთული ხდება მათი მთლიანად თავიდან აცილება
- » გამოიჩინეთ სიფრთხილე, რომ განათლების პროგრამა უბრალოდ არ იქნეს ჩასმული ჩარჩოში და იგნორირებულ არ იქნეს პრაქტიკის ანალიზის მიერ მითითებული ცვლილებების საჭიროება.

პრაქტიკის ანალიზის წინაშე არსებული გამოწვევები

შინაარსთან დაკავშირებული გამოწვევები:

- » ჩარჩოს განსაზღვრისას საჭიროა გამოყენებულ იქნეს დეტალების სათანადო დონე - მიზნის მიღწევის მიზნით ისინი არ უნდა იყოს ზედმეტად ფართო ან ზედმეტად ფოკუსირებული:
 - » თუ ზედმეტად ფართოა – განხორციელებისთვის საჭირო დეტალები არ იქნება საკმარისად წარმოდგენილი
 - » თუ ზედმეტად დეტალურია – მეტად რთული იქნება სამუშაოდ
- » გახსოვდეთ რომ ჩარჩო წარმოადგენს კომპეტენციის *მინიმალურ* დონეს, რომელიც ნაჩვენები უნდა იქნეს ყველა პროფესიონალი ბუღალტრის და/ან აუდიტორის მიერ სერტიფიცირების დროს
 - » ეს უნდა ასახავდეს *მყარ* მინიმალურ დონეს, მაგრამ ასევე საჭიროა რომ *რეალისტური* იყოს სერტიფიცირებული პროგრამის გათვალისწინებით





პოტენციური განმეორებადი მიდგომა:

- » დადგენილი ჩარჩოების გამოცდილების და IESBA'-ს განათლების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება
- » ძირითადი კომპეტენციების, კვალიფიკაციის დონეების და სასწავლო თემების აღწერილობის შემუშავება
- » გამოიყენეთ დაინტერესებული მხარეების მცირე მაგრამ წარმომადგენლობითი ჯგუფი ჩარჩოს განსახილველად სამუშაო შეხვედრაზე
- » შეუხამეთ პროგრამა და ჩარჩო ერთმანეთს, პროგრამის საჭიროებისამებრ კორექტირებით დროთა განმავლობაში
- » ჩარჩოს განხილვა და კორექტირება დროთა განმავლობაში საჭიროებისამებრ

თანამშრომლური დახმარება ექსპერტთა მხრიდან:

- » საუკეთესო შედეგები მიიღება შემდეგ მხარეებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე:
 - » გამოცდილი ექსპერტები – დამოუკიდებელი მითითებების და საერთაშორისო პერსპექტივების გათვალისწინება
 - » ძლიერი ადგილობრივი გამოცდილება – ადგილობრივი კონტექსტის აღქმის და ადაპტაციის გათვალისწინება





მაგალითი – სწავლის შედეგების ჩარჩოს შემუშავება პოლონეთისთვის




მსოფლიო ბანკის პროექტი პოლონეთში



აუდიტორთა პალატა - Krajowa Izba Bieglych Residentow (KIBR)

მოთხოვნები სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორებისთვის:





CFRR პროექტი: საბუღალტრო და აუდიტორული განათლების გაძლიერება

» ტექნიკური დავალება:

» მაგალითებზე დამყარებული ინტეგრირებული გამოცდის შემუშავება, რომელიც იქნება აუდიტორების საკვალიფიკაციო გამოცდა

» უნივერსიტეტების აკრედიტაციის პროცესის შემუშავება და გათავისუფლება ამჟამინდელი 10 წინასწარი გამოცდისგან

» შედეგების შესაბამისობა ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ ბუღალტრებისთვის შემუშავებულ განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან (IESs)

მსოფლიო ბანკის პროექტი პოლონეთში



- » **IFAC -ის განათლების საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს „სწავლის შედეგების“ მიდგომას:**
 - » “სწავლის შედეგების მიდგომა ფოკუსირებულია პირის მიღწევების დემონსტრირებაზე სწავლის შედეგებთან დაკავშირებით კვალიფიკაციის სამიზნე დონეზე და არა სწავლის პროცესზე.”
 - » აღნიშნული შედეგების მიღწევის დემონსტრირება იძლევა მტკიცებულებას პირის პროფესიული კომპეტენციის შესახებ შეასრულოს პროფესიონალი ბუღალტრის როლი.”

მსოფლიო ბანკის პროექტი პოლონეთში



- » განათლების სტანდარტებთან შესაბამისობის მხარდასაჭერად საჭირო იყო კომპეტენციის ჩარჩო, მაგრამ არ არსებობდა საკმარისი რესურსები სრული პრაქტიკული ანალიზის განსახორციელებლად.
- » მტკიცე შუალედური მიდგომის სახით „სწავლის შედეგების ჩარჩო“ შემუშავდა
- » ნაკლები კვლევის პირობებში ეფექტიანობა მიღწეულ იქნა სხვა ავტორიტეტული ჯგუფების ნამუშევრის გამოყენებით;



» სწავლის შედეგების KIBR ჩარჩო

- » ჩარჩოში შედის სწავლის შედეგები (და არა ძირითადი კომპეტენციები), ტექნიკური სფეროების და პრიორიტეტული უნარების ჩათვლით
- » უკავშირდება უშუალოდ IFAC-ის განათლების საერთაშორისო სტანდარტებს კანონშესაბამისობის მხარდასაჭერად
- » იყენებს კვალიფიკაციის შემდეგ დონეებს
1 = საბაზისო, 2 = საშუალო, 3 = უმაღლესი

აღნიშნული მიდგომა აღიარებს რომ ახლად კვალიფიცირებული კანდიდატები არ არიან ექსპერტები (შესაძლებელია მე-4 ან მე-5 დონის დამატება უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის)



- » ასრულებს შუალედური ეტაპის როლს კომპეტენციების ჩარჩოს შემუშავების გზაზე (პრაქტიკის ეროვნული ანალიზის შესაბამისად)
- » სწავლის შედეგები იყო არსებითად „გადაუმოწმებელი“ ძირითადი კომპეტენციები
- » სწავლის შედეგებს მიენიჭა კვალიფიკაციის დონეები
- » სწავლის შედეგები დაგეგმილი იყო მოქმედ რეგულაციაში შესული სასწავლო თემების მიხედვით

სწავლის
შედეგების
ჩარჩო



ტექნიკური

სწავლის შედეგების ჩარჩო

სწავლის შედეგების ნიმუში – ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	კვალიფიკაციის დონე
მარეგულირებელი გარემოს ახსნა და სტანდარტების დადგენის პროცესი და შესაბამისი კანონების და წესების განსაზღვრა, რომლებიც ორგანიზაციას უკავშირდება.	2 - საშუალო
ფინანსური ანგარიშების, საზოგადოებისთვის სარგებლის და ფუნდამენტური პროცესების და დავალებების მიზნების, ამოცანების და რაოდენობრივი მახასიათებლების ახსნა.	3 - უმაღლესი
პოლონეთის საბუღალტრო აღრიცხვის წესების (ფასს-ის გარდა) გამოყენება ტრანზაქციების და სხვა მოვლენების მიმართ.	2 - საშუალო
ფასს-ის გამოყენება ტრანზაქციების და სხვა მოვლენების მიმართ .	2 - საშუალო
ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად გამოყენებული აღრიცხვის პოლიტიკის ადეკვატურობის შეფასება.	2 - საშუალო



არატექნიკური

სწავლის შედეგების ნიმუში – ინტელექტუალური უნარები	კვალიფიკაციის დონე
კვლევის, ანალიზის და ინტეგრაციის საშუალებით სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის შეფასება.	2 - საშუალო
განსაზღვრა თუ როდის არის მიზანშეწონილი სპეციალისტებთან კონსულტაცია პრობლემების გადასაწყვეტად და დასკვნების გამოსატანად.	2 - საშუალო
მსჯელობის, კრიტიკული ანალიზის და ინოვაციური აზროვნების გამოყენება პრობლემების გადასაწყვეტად.	2 - საშუალო
გადაწყვეტების შესახებ რეკომენდაციების მომზადება არასტრუქტურული მრავალწახნაგოვანი პრობლემების მიმართ.	2 - საშუალო
აუდიტთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა მოკვლევის, აბსტრაქტული და ლოგიკური აზროვნების და კრიტიკული ანალიზის გამოყენებით ალტერნატივების გასათვალისწინებლად და შედეგების გასაანალიზებლად.	2 - საშუალო



IV. კომპეტენციების ჩარჩოს დანერგვა და მდგრადობის მიღწევა

კომპეტენციის ჩარჩოს დანერგვა

მას შემდეგ რაც შემუშავდება კომპეტენციის ჩარჩო:

- » საჭიროა მისი ყველა სფეროზე გავრცელება
- » ჩარჩო მოშველიებულ უნდა იქნეს ნებისმიერ დროს, როცა პროფესია განსაზღვრავს პროცესებს წევრების მიმდინარე ტრენინგის, განათლების, წევრების შეფასების ან მონიტორინგისთვის
- » კომუნიკაცია ძირითადი მნიშვნელობისაა სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორებიც არიან სახელმწიფო ზედამხედველები/მარეგულირებლები, პარტნიორები განათლების სფეროში



კომპეტენციის ჩარჩოს მდგრადობის უზრუნველყოფა

კომპეტენციის

ჩარჩო

მას შემდეგ რაც მოხდება კომპეტენციის ჩარჩოს დანერგვა:

- » უნდა განხორციელდეს მისი რეგულარული გადახედვა (ყოველ 3-5 წელიწადში) რელევანტურობის შენარჩუნების მიზნით
- » შეფასება/გადახედვა შეიძლება განხორციელდეს პრაქტიკის სრული ანალიზის საშუალებით ან კვლევების და/ან სემინარების მეშვეობით სპეციფიკურ სფეროებში
- » საერთაშორისო და ადგილობრივი ტენდენციები და მარეგულირებელი ცვლილებების მონიტორინგი და ასახვა უნდა განხორციელდეს ჩარჩოში
- » ორგანიზაცია უნდა გახდეს კომფორტული სხვა ჩარჩოების მიმართ დაგეგმვის თვალსაზრისით ნიშნულების განსაზღვრის და პარტნიორობის მიზნებისთვის

სასწავლო ამოცანები - გამოცდები

- » განსხვავება კომპეტენციასა და ცოდნას შორის
- » განსაზღვრა თუ რატომ არის პროფესიული კომპეტენცია მნიშვნელოვანი აუდიტორებისა და ბუღალტრებისთვის
- » პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციების პასუხისმგებლობის შეფასება წევრთა კომპეტენციის განვითარებასა და შენარჩუნებაში
- » მოკვლევა თუ როგორია კომპეტენციის ტიპური ჩარჩო
- » კომპეტენციის ჩარჩოს გამოყენების შეფასება პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაციების მიერ
- » კომპეტენციის ჩარჩოს განვითარების მეთოდები
- » კომპეტენციის ჩარჩოს გავრცელების და შენარჩუნების აღწერა



გმადლობთ!!

კითხვები?
შენიშვნები?
გამოხმაურება?

მომხსენებელი

aborgonovo@worldbank.org

